

ტრადიციული, წარმართული, რელიგიური, ეზოთერული და ოკულტური რიტუალები საქართველოში, როგორც მე-იდენტობის კონსტრუირების ელემენტები

გიორგი გ. თუმანიშვილი

Professor, European Academy (Georgia), Masaryk University (Czech Republic)

georgetumanishvili@gmail.com

აბსტრაქტი:

ნაშრომი ეხება საკითხს, რომელიც უკავშირდება ტრადიციულ, წარმართულ, რელიგიურ, ეზოთერულ და ოკულტურ რიტუალებს საქართველოში, მათ მნიშვნელობასა და როლს მე-იდენტობის ფორმირების პროცესში. ნაშრომში განხილულია ის რიტუალები, რომლებიც სრულდება დღევანდელ დღეს, 21-ე საუკუნეში, საქართველოში, მიუხედავად ამ რიტუალების წარმოშობის სიძველისა, იმის გათვალისწინებით, რომ განხილული რიტუალები ახდენენ ზეგავლენას იმ პირთა მე-იდენტობის ფორმირების პროცესზე, რომლებიც ესწრებიან ამ რიტუალს, ასევე, გარკვეულ წილად იმ ადამიანთა მე-იდენტობის ფორმირებაზე, რომლებიც ყოველდღიურ, აქტიურ ურთიერთობაში იმყოფებიან ამ ადამიანთან.

საკვანძო სიტყვები: რიტუალი, ტრადიციული, წარმართული, რელიგიური, ეზოთერული, ოკულტური, მე, იდენტობა

ადამიანის მე-იდენტობა რთული და კომპლექსური ფსიქოლოგიური კატეგორიაა, რომლის ფორმირებაც იწყება სარკისებრი ნეირონებს შორის იმპულსების წარმოქმნიდან და გრძელდება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. ზოგიერთ, ფილოსოფიურ, რელიგიურ-ეზოთერულ ან ოკულტურ ჭრილში განხილვისას კი მე-იდენტობა წარმოადგენს იდენტობას, რომლის „მე“ კომპონენტიც უკვდავია და ამავდროულად არამატერიალური, მატერიის იმ გაგებით, რომელიც მოკლებულია სულიერ მახასიათებელს.

ადამიანის „მე“-ს, „მე-კონცეფცია“-ს და „მე-იდენტობა“-ს კორექტირებადი ფსიქიკური კონსტრუქციებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ფორმირდება და ამ ფორმირების პროცესში ყოველდღიური ცხოვრების, მოვლენების, შეხვედრების, სიუჟეტების, პერსონაჟების რომელი კონკრეტული დეტალები აქხდენენ გავლენას და რა მოცულობის და სიღრმისაა ეს გავლენა, წინასწარ ვერ გამოვიცნობთ, მაგრამ უთუოა, რომ კონკრეტულ მოქმედებათა გამეორება ხელს უწყობს, როგორც გამეორებადი ქცევის აღქმას, ისე, ამ ქცევის გავლენა, ადამიანის მე-იდენტობის ფორმირებაზე მეტ მნიშვნელობას იძენს, ხოლო გამეორებათა ინტენსივობა პირდაპირ კავშირშია გამეორებადი ქცევისას დეტალების დამახსოვრება-გახსენებასთან.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საკითხს, რომელიც უკავშირდება რიტუალების მნიშვნელობას და როლს მე-იდენტობის ფორმირების პროცესში. ნაშრომში განხილული იქნება მხოლოდ ის რიტუალები, რომლებიც სრულდება დღევანდელ დღეს, 21-ე საუკუნეში, საქართველოში, მიუხედავად ამ რიტუალების წარმოშობის სიძველისა, იმის

გათვალისწინებით, რომ განხილული იქნება, მხოლოდ ის რიტუალები და მათი ზეგავლენის საკითხები, რომლებიც მიმაჩნია, რომ ზეგავლენას ახორციელებს, იმ პირობა მე-იდენტობის ფორმირების პროცესზე, რომლებიც ესწრებიან ამ რიტუალს, ასევე, გარკვეულ წილად იმ ადამიანთა მე-იდენტობის ფორმირებაზე, რომლებიც ყოველდღიურ, აქტიურ ურთიერთობაში იმყოფებიან ამ ადამიანთან.

წარმოდგენილი ნაშრომში, იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ ტერმინოლოგიურ მისკომუნიკაციას, ვთვლი, რომ აუცილებელია იმ ტერმინთა შინაარსის განსაზღვრა, რომლებიც გამოტანილია ნაშრომის სათაურში, და რომლებსაც გამოვიყენებთ ამ ნაშრომის ტექსტში. ტერმინთა შინაარსი და მოცულობა ავტორისეულია, ამიტომ, შესაძლებელია ამ ტერმინთა შინაარსის მრავალი ინტერპრეტაცია შეგხვდეთ სხვადასხვა ტექსტში.

რიტუალი - მოწესრიგებული, შინაარსის მქონე, გამეორებადი სიმბოლური მოქმედება (აქტი), ან მოქმედებათა (აქტთა) სერია, რომელიც სრულდება კონკრეტულ სიტუაციაში და ერთნაირად ყოველი გამეორებისას.

ტერმინები: ტრადიციული, წარმართული, რელიგიური, ეზოთერული და ოკულტური, შესაძლებელია შეიცავდეს მსგავს კომპონენტებს, მარგამ, მიუხედავად მსგავსებისა თითოეული მათგანი თვისობრივად განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ამიტომ, აუცილებელია სათითაოდ განისაზღვროს ამ ტერმინების მნიშვნელობა ამ ნაშრომში მათი გამოყენების თვალსაზრისით, მისკომუნიკაციის აცილებისათვის. ტერმინები მოცემულია ავტორისეული შინაარსითა და მნიშვნელობით:

ტრადიციულია რიტუალი რომელიც ერთგვაროვნად სრულდება დროის ისეთი განგრძობადი ხანგრძლივობის განმავლობაში, როდესაც რიტუალის არსისა და განხორციელების შესახებ ცოდნის გადაცემა თაობიდან თაობაზე ხორციელდება, ისე, რომ იგი არ ეფუძნება, რომელიმე კონკრეტულ ტექსტს და არ გამომდინარეობს ამ ტექსტიდან, მიუხედავად ამისა, იგი შესაძლებელია ეფუძნებოდეს, როგორც სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს ასევე იყოს სპირიტუალური მნიშვნელობის მატარებელი.

წარმართულია რიტუალი რომელიც ეფუძნება არაქრისტიანულ წარმოდგენებს და მიმართულია ამ წარმოდგენებში სათაყვანებელი ობიექტების მიმართ. რელიგიურია რიტუალი რომელიც ატარებს რელიგიურ შინაარსს და გარკვეულწილად მომდინარეობს რელიგიური შინაარსის ტექსტის ინტერპრეტაციიდან.

ეზოთერულია რიტუალი რომელიც სრულდება იმ შინაარსობრივი მნიშვნელობით და ცოდნით, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოითხოვს სპეციალურ დაშვებას ამ ცოდნის მიღებისათვის და განსწავლულობას, რომელიც ფარული, გარკვეულწილად საიდუმლო შინაარსის მატარებელია.

ოკულტურია რიტუალი რომელიც სრულდება ფარული, საიდუმლო შინაარსობრივი მნიშვნელობით და წარმოადგენს ამ მნიშვნელობათა რეალიზების პრაქტიკულ ფორმას, რომელიც ხორციელდება ხელთდასმული, სპეციალური კურთხევის მქონე პირის მიერ.

რიტუალები თავისი განმეორებითი ბუნება-ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენენ იმ მოქმედებებს, რომლებიც ერთის მხრივ შეიძლება ცდებოდეს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და რიტმს, ხოლო მეორეს მხრივ, შეიძლება ამ რიტმის განუყოფელ ნაწილად გვევლინებოდეს. ორივე შემთხვევაში რიტუალები წარმოადგენენ იმ მოქმედებებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის „მე-იდენტობის“ ფორმულირების პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც რიტუალი ხორციელდება, ხოლო მისი უნებლიე მონაწილე არის მცირეწლოვანი, მიუხედავად რიტუალის შინაარსისა, ეს გამეორებადი მოქმედებანი, მათი უბრალოდ გამეორების გამო, წარუშლელ კვალს ტოვებს ამ მცირეწლოვანი მონაწილის ფსიქიკა-მეხსიერებაში. რიტუალისთვის დამახასიათებელია მოწესრიგებული, შინაარსის მქონე, გამეორებადი, სიმბოლური მოქმედებები, სადაც შინაარსის გამოკლების შემთხვევაშიც კი სახეზე გვაქვს გარკვეულ მოქმედებათა სისტემა, რომელიც თუნდაც ამ სისტემურობით (გარემო, ობიექტები, ჟესტები, სიტყვები, ემოციური განწყობა) წარმოადგენს იმ კომპლექსურ აუდიო-ვიზუალურ-ემოციურ პერფორმანსს, რომელიც სარკისებრი ნეირონებს შორის არსებული იმპულსის ერთ ერთი საუკეთესო კომბინაციის მქონე ჯაჭვია, დამახსოვრება-გახსნების თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, თუ რიტუალს ემატება შინაარსობრივი მხარე, რომელიც აღქმადი და შესაბამისად გააზრებადია რიტუალში მონაწილე პირისათვის, ეს ნამატი ემოციურ-ინტელექტუალური მნიშვნელობა კიდევ უფრო ხელს უწყობს, როგორც რიტუალის დამახსოვრებას, ისე, რიტუალში მონაწილისათვის-წევრად იდენტიფიკაციას, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის „მე-იდენტობის“ ფორმირება-შეცვლასთან.

ბუნებრივია, მიუხედავად ტერიტორიისა თუ სად არიან ადამიანები დასახლებულნი, ისინი ინდივიდუალურნი არიან და მათი პიროვნებითი კონსტრუქციები უნიკალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ინახოს ის საერთო თანხვედრა-გადაკვეთის ელემენტები, რომლებიც აერთიანებს ამა თუ იმ ერში არსებულ ინდივიდებს, როგორც იმ წარმოსახვითი თანასაზოგადოებისა, რომელიც საერთო ტერიტორიული კავშირურთიერთობებისა და გარკვეული ჯგუფური სოლიდარობის გრძნობას ეფუძნება.

ამგვარად, მოდით შევეხოთ იმ რიტუალებს, რომლებმაც დღევანდელ დღეს მნიშვნელოვნად განაპირობეს, ის ეროვნული თვითაღქმა, რომელიც დღეს აქვს ქართველ ერს, მისი კოლექტიური არაცნობიერის ასპექტში და ამავდროულად ქართველი ერის შემადგენელს - ინდივიდს, „მე-იდენტობის“ კონსტრუქციის ფორმირების თვალსაზრისით.

ახალი წლის რიტუალები:

ახალი წლის რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარია. ახალი წელი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია სიახლესთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალ წრესთან, რომელიც გულისხმობს წელიწადის დროების ხელახალ ცვლილების წრეს, უფრო ზუსტად კი სპირალს. საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, IV

სუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ.¹ VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX ასწლეულის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან-მარტიდან იწყება. იანვარში ახალი წლის დღესასწაული, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. იანვარში დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციასთან ერთად ფეხს იკიდებს წეს-ჩვეულება და რიტუალი.

ახალი წლის რიტუალის მნიშვნელოვანი მონაწილეა (პერსონაჟი) - ე.წ. მეკვლე.² მას დიდი მოწიწებით ირჩევენ. იგი პირველია ვინც ახალი წლის ღამეს შედის ოჯახში და მასპინძელს ხვავსა და ბარაქას უსურვებს. საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა თითოეული მათგანის მიზანი მოზიდაობა, რიტუალის მონაწილეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.

თუშეთი

ზამთრის სადღესასწაულო რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი წლის შეხვედრა, რომელსაც ხალხი თავის ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებს. ამიტომ თუშეთშიც თავიანთ "წელწდობას" მოწიწებით ეგებებიან. საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს“, კაცზე "ზაცუკაცს" და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქები აქვს, ძროხისას - ძუძუები, ცხვრისას - დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმის არის. ყველა ამ კვერს ხონზე დაალაგებენ და ზედვე დებენ: მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და "კერის კვერს". საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწყვიან: ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას პურს შემოაგორებს და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი. ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“³

ხევსურეთი

ხევსურები ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობს ბედის კვერებს: თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის

¹ "† Orthodoxy.Ge † სხვადასხვა - შობა და ახალი წელი". 2017. *Orthodoxy.Ge*. http://www.orthodoxy.ge/skhva/shoba_da_akhali_tseli.htm.

² მეკვლე - ახალი წლის მისალოცად მიწვეული კარგი ფეხის მქონე მეზობელი, რომელსაც, ძველი რწმენით კარგი წელი უნდა დაეხედებინა ოჯახისათვის. მეკვლეს (ოჯახის მეკვლეს) უძახოდნენ ოჯახის იმ წევრსაც (უმეტესად უფროს მამაკაცს), რომელიც დილა ბნელზე ტაბლით სახლს შემოუვლიდა და შემდეგ ოჯახს უკვლევდა. დამატებით, იხ: "მეკვლე (მემკვლე) - ჯავახური ლექსიკონი". 2017. *Nplg.Gov.Ge*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=12061>.

³ ზრეგაძე, მერაბ. 2017. "საახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

დროს, ვისიც აფუძვდება, ის ბედნიანი და ყისმათიანი იქნებაო. ახალწელიწადს მამაკაცები ხატში იკრიბებიან და აქ ხატის დარბაზში დროს სმასა და მოლხენაში ატარებენ.⁴

ფშავი

მამლის პირველი ყვილისას დიასახლისი დგება, ჯალაბს ნაყრად (საგზოლად) ხმობს გამოუცხოვს, ხონჩაზე დადებს და მას კერის პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუმწვრივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან "ნაყრს" - ყველს და პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: "წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლო". ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამს, სუფრას სახელს შესდებს და დაილოცება. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს თაფლს და ხილს შეაჭმევს, "დააბერებს" და ერთმანეთს ეტყვიან: "ეგრემც ტკბილად დამიბერდიო". გადმოიღებენ ხმობებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვამს ჩამოჰკიდებს და ხინკლის კეთებას შეუდგებიან.

მესხეთ-ჯავახეთი

სადამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს. შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსაც: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას. ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დააღაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა. მამლის ყვილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით; "ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშვილო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი".

საინგილო (ჰერეთი)

საინგილოში საახალწლოდ ამზადებენ ხონჩას⁵ დააწყობენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამენ ჯამით თაფლს, ერბოს, ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და შემდგომ მიდიან ვენახის საკვლევადა. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან. სახლის უფროსი (მამაკაცი) ჯერ გასხლავს ვაზს, მერე ააგებს; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოაგლეჯს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჰიგოსა და ვაზზე მიაკრავს და თან იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა.“ თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და

⁴ ბრეგაძე, მერაბ. 2017. "საახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

⁵ ხის ლანგარი ოდნავ ნაპირებშემოფარგლული, ზოგჯერ ოვალური, ზოგჯერ კუთხოვანი ნაპირებით. იხმარება სხვადასხვა პროდუქტის დასაწყობად და სუფრაზე მისატანად. ბატონების გადალოცვის დროს ხონჩაზე დააწყობენ წითელყვითელ ნაჭრებს, ტკბილეულს, ნიგოზს... წაიყვანენ ავადმყოფს და სახლიდან მოშორებით გადაულოცავენ ბატონებს. დამატებით, იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=6009>

ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. ახალი წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში.⁶

გურია-სამეგრელო

გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან. სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიჩილაკით⁷ და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილას კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო სუფრას მიუჯდება, რომელზეც ალაგია: ღორის თავი, ბასილა⁸ თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს.“ საუზმის შემდეგ კი დაიწყება თუთის წენელებით საახალწლო მილოცვები. ახალ წელიწადს გურიაში მამლის ყვილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგება. მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილას და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაემურებიან. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ.ბასილას ეხვეწება, რომ ამ კაკლივით მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით აავსოს. ბოლოს ღორის თავს აიღებს, საწნახელს სამჯერ მიარტყამს და თან ყვირის: „აგუნა, აგუნა, მიეც ჩვენს სამშობლოს ღვინო და სხვებს ფურცელი“-ო. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართება და ოჯახის წევრებს ულოცავენ.⁹

რაჭა

ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ ბაჭულს¹⁰ აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს „კერია-ბერია“-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი

⁶ ბრეგაძე, მერაბ. 2017. "სახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

⁷ ჩიჩილაკი - საახალწლოდ მორთული ფურფუშელებიანი ხე. ჩიჩილაკისთვის შეარჩევდნენ თხილის ტოტს. კალანდობამდე რამდენიმე დღით ადრე მოჭრიდნენ და შეინახავდნენ. წინა დღეებში ოჯახის უფროსი იწყებდა მის დამზადებას. საჩიჩილაკე ჯოხს ცეცხლზე გარუჯავდნენ, მერე მის დარბილებულ და სათლელად გაიოლებულ ტანს დაუწყებდნენ ათლას ქვევიდან ზევით და ამ ხუჭუჭა ანათალებს, ანუ „წილამურებს“ ზედვე ტოვებდნენ. წარმოიქმნება ხუჭუჭად გამოყვანილი ოვალური ხის იმიტაცია. ჩიჩილას თავი ოთხად ჰქონდა შეხეთქილი, სადაც ჯვარედინად იყო ჩამაგრებული ჯოხები - ზედ დამაგრებული სანთლებით. ჩიჩილას ამკობდნენ ტკბილეულით, ხილით, ჩურჩხელებით, მარადმწვანე ფოთლებით, წითელნაყოფიანი კურკანტელით, აბრეშუმის ძაფებითა და სამკაულებითაც. დაძინების წინ ოჯახის უფროსი ჩიჩილას და ხონჩას (იხ.) სახლიდან გაიტანდა მარანში ან ბელეში და თვითონაც იქ დაიძინებდა. ახალი წლის დილას, გამთენიისას გაემურებოდა წყაროზე, ხელოპირს დაიბანდა, წაიღებდა ჩიჩილას, ხონჩაზე აანთებდა სანთლებს, დაილოცებოდა, შემოუვლიდა კარ-მიდამოს, საქონლის სადგომებს და გამრავლებას ინატრებდა, მერე მიადგებოდა საცხოვრებელ სახლს და ოჯახის წევრებს მიულოცავდა ახალ წელს. წყალკურთხევამდე (6 იანვარი) ჩიჩილას ოჯახში ინახავდნენ, შემდეგ შემოაცილიდნენ ტკბილეულს, ცეცხლში გარუჯავდნენ და ბოსტანში ჩაფლავდნენ - „ბოსტანს ჭია-მატლი ვეღარ გააფუჭებსო“. მიჩნეულია, რომ ჩიჩილაკის რიტუალში ხის თავყვანისცემის უძველესი ჩვეულებაა ასახული

⁸ საახალწლო რიტუალური პური. აცხობდნენ ახალი წლის წინა ღამეს, წარმოადგენდა ადამიანის გამოსახულებას, რომელსაც ნაყოფიერების მინიჭების მიზნით ფალოსის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული. ბასილას კვერსინახავდნენ წყალკურთხევამდე. ამ დღესასწაულზე ბასილას აიღებდნენ, თოხის ტარზე გადაატარებდნენ და სხვას გაუნაწილებდნენ სიტყვებით - „უხვი მოსავალი მოგვეცოს“. მეცნიერებაში გამოთქმული აზრით, ბასილა, ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი სარიტუალო პურია, იგი საახალწლო სუფრის (ხონჩა, აბრამიანი) განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

⁹ ბრეგაძე, მერაბ. 2017. "სახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

¹⁰ ლობიანის სახეობა.

ცხრილზე დაალაგებს და ბელელში შეინახავს. მამლის პირველი ყვილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილას აიღებს და ბელელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით "შემოდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის", შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს "კერია-ბერია"-ს უნაწილებენ.¹¹

სვანეთი

ახალწლის ღამეს სვანები სხვადასხვა საწვავს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარებზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარებს დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: "ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გააღეთ) ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე, ყორ მუკიარ (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გამიღეთ)". სახლში შესვლისას კერას სამჯერ შემოუვლის, დიდ ჯვარიან პურზე დააწყობს ტკბილეულს და ვერცხლის ფულებს, უფროს-უმცროსობით ყველას დაუვლის და დღესასწაულს ულოცავს.¹²

ქართლი

ქართლში თავდაპირველად აცხოვენ ბასილას ქანდაკებას, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითოს შინაური ცხოველებისთვის. გამთენიისას ოჯახის უფროსი ხონჩაზე ღორის თავს დადებს, ირგვლივ ბედის კვერებს შემოუწყობს და ზედვე ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ხონჩის ერთ გვერდზე "დასაბერებლად" თავლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახალწლო ხონჩას ქართლში "აბრამიანს" უწოდებენ.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არც ისე დიდი ქვეყანაა თავისი ტერიტორიული მასტაბით, მის სხვადასხვა კუთხეში ახალი წლის შეხვედრის სხვადასხვა რიტუალია. ეს რიტუალები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი მეორდება ყოველ წელს, ხოლო ტრადიცია და რიტუალი გადაეცემა თაობიდან თაობას და გარკვეულწილად განაპირობებს წინასახალწლო სამზადისს და უშუალოდ ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებ პირთა ქცევას.

მეტად მნიშვნელოვანია, ახალი წლის შემდგომი დღე, ე.წ. ბედობის დღე. ამ დღეს საქართველოში ცდილობენ არც სესხი გასცენ და არც აიღონ. დღის მთავარი სტრუქტურა წარმოადგენს გარკვეულ პროცირებას მთელ შემდგომ წელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ცდილობენ გაატარონ დღე ისე, როგორც სურთ, რომ გაატარონ მომდევნო წლის პრაქტიკულად ყოველი დღე. თავის მხრივ, ბედობის დღის ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნივერსალურია, თუ შევხედავთ მას ფსიქო-ფილოსოფიურ ჭრილში, როგორც ერთი დღით ცხოვრების კონცეფციის პრაქტიკულ რეალიზებას. ადამიანებს, რომლებსაც ჯერათ ზებუნებრივი ძალების მათ შორის ბედისა და იღბლის არსებობის, მათ სჯერათ, რომ შესაძლებელია ბედობის დღის პროცირება. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ცდილობენ ბედობას არ გააკეთონ ან/და არ დაკავდნენ არაფრით ისეთით,

¹¹ ბრეგაძე, მერაბ. 2017. "სახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

¹² ბრეგაძე, მერაბ. 2017. "სახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.

რითაც არ სურთ რომ დაკავებულნი იყვნენ მომდევნო წლის განმავლობაში. ამიტომ, ეს დღე ძირითადად ეძღვნება სხვადასხვა სასიამოვნო საქმიანობის განხორციელებას, რომლის პროეცირებაც სურს ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს.

ქართულ ტრადიციაში (ისევე, როგორც სხვა მრავალ ტრადიციაში) სამყარო მოიაზრებოდა, როგორც განსხვავებულ საუფლოთა, სკნელთა ერთიანობა, რომელიც საზღვრებით იყო შემოზღუდული. სივრცული ასპექტით, ქართული მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით (რომელიც რეკონსტრუირდება მითის, რიტუალის, ენობრივი და სხვა დონეების შესწავლით), სამყარო შედგება ერთმანეთთან დაპირისპირებული სკნელებისგან: ზევითა//ზემო (ანუ ცის მკვიდრთა) სამყარო (დასავლურ – ქართულ ტრადიციაში წარმოდგენილი ჟინი ანთარის, ჟინიში ორთას, ქრისტიანულ დონეზე: მთავარანგელოზთა, წმ. გიორგისა და წმ. ელიას და ა.შ. ალომორფული პერსონაჟებით), შუა (ცხოველთა და ადამიანთა სამკვიდრო) სამყარო, ქვემო სამყარო//ქვესკნელი (მიწისქვეშეთის, ქვეცრიელთა, ხთონურ არსებათა საუფლო, წარმოდგენილი ფუძის ბატონის, ადგილის დედის და სხვა არსებებით, ქრისტიანულ დონეზე ღვთისმშობლის სახით და სხვ.¹³

ფიზიკურ დონეზე აზრები მხოლოდ აზრებია. ფსიქიკურ დონეზე აზრები – არსებებია. ისინი გადიან სამყაროში და ზემოქმედებენ გარემოზე. ისინი დინამიკურები არიან და ეძებენ მატერიალურ გამოხატულებას და აქტუალიზაციას (მიმართება ხილულსა და უხილავ სამყაროებს შორის). როგორც სულიერი არსებები, ისინი ზეგავლენას ახდენენ ადამიანზე, მის მიმართებაზე საკრალურსა და წმინდაზე. ისინი შეიძლება იყვნენ ან ნახევრად ადამიანები, ან ადამიანისმაგვარი არსებები, არა ადამიანები ან ადამიანური არსებების მოჩვენებები და სხვ.

მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებში ერთმანეთს უპირისპირდებიან „საკუთარი“- „სხვისი“, „ნაცნობი“-„უცხო“, „შინა“-„გარე“, „სახლი“-„ტყე“ (როგორც აუთვისებელი ადგილი), „დღე“-„ღამე“, უფრო ზოგადად კი „სამყარო“-„ანტისამყარო“. სტრუქტურალისტური მიდგომიდან გამომდინარე, მოწესრიგებული სამყარო შინას უკავშირდება, ხოლო მოუწესრიგებელი – ქაოსს. ორივე სამყაროს პერსონაჟები ცდილობენ გადალახონ საზღვრები და შეაღწიონ საპირისპირო სამყაროში სხვადასხვა მიზნით. შინაში, ანუ დროითა და სივრცით შემოზღუდულ წარმავალ სამყაროში სახლის, როგორც მიკროკოსმოსის, საზღვრები თვალსაჩინოა და მისი ჰერმეტიულობა ირღვევა კარებით, ფანჯრებით და საკვამურით¹⁴ არსებები, რომლებიც თავს ესხმიან საზოგადოებას ერთდროულად აღიწერებიან, როგორც გოლიათები¹⁵ და ჯუჯები (ჭინკები, დაფარული განძის მცველი“ – ქაჯები (მჭედლები – მიწისქვეშა ცეცხლის მფლობელნი, რომელთაც საკმაოდ დამლუპველი ასპექტი გააჩნიათ).

რეალური სამყაროს წარმომადგენელი არის გმირი (მონადირე, მეთევზე...), ხოლო ანტისამყაროს გამოვლინებებია: დევები, ქაჯები, ჭინკები, მესეფი, ტყის სხვადასხვა სულები: დიხაშკოჩი (მეგრ. მიწის კაცი), ოჩოკოჩი (გოლიათი), ოჩოპინტ(რ)ე, ტყაში მაფა,

¹³ ბარბაქაძე, ცირა. 2017. "წინო აბაკელია - „დაიმონები“ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში". *სემიოტიკა Semiotics*. <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/21/წინო-აბაკელია-„დაიმონები/>.

¹⁴ აბაკელია, წინო. 2002. *რამდენიმე შტრიხი დროისა და სივრცის კატეგორიების შესახებ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში*, კრ. ოჩხარი, ვ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი.

¹⁵ Gurchiani, Ketevan. 2007. "Polyphem Und Devi. Geschichten Der Kannibalscher Riesen In Altgriechischer Und Georgischer Tradition". *Athény: Ergo Editions*.

დალი, კაპი, როკაპი, მიზითხუ, წყლის დედა, ზღვის დედა და სხვ., რომელთა უბრალო დასახელებაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა).

ორივე სამყაროს პერსონაჟები ცდილობენ შეაღწიონ საპირისპირო სამყაროში სხვადასხვა მიზნით.

„სხვის“ სივრცეში ყოფნისას დაიმონი (ჭინკები, ქაჯები, ტყის სულები) თავს სხვადასხვა ხმების გამოცემით ავლენენ, მაგრამ უხილავი რჩებიან ადამიანისთვის. ზოგ შემთხვევაში ადამიანს შეუძლია ხილვა დაიმონისა, რომელიც „ანტისივრცეშია“ და უხილავია სხვა ხალხისთვის, მაგრამ ხილულია სუპერენსიტიური ადამიანისთვის (მონადირე, მეთევზე, ღვთის მსახური). ანტისამყაროდან დაბრუნებული გმირი იღებს „საოცარ“ უნარს, ცოდნას ან გიჟდება (ხელდება). სპეციალური ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანი და სულები (ანუ, როგორც ჩვენ ვხმარობთ დაიმონები) ერთმანეთთან ურთიერთობენ სიზმრის ან ხილვების მეშვეობით ლიმინალურ (ე.ი. ზღვრულ) ზონებში, როგორც შეიძლება იყოს ზემოთ აღნიშნული ზღვა, კლდე, გამოქვაბული, ტბა, წყალი, ტყე.¹⁶ რეალურ სივრცეში შეჭრისას დაიმონი არა თავისი ქეშმარიტი სახითაა, არამედ ადამიანის, ცხოველის ან საგნის. აქ დაიმონი – მაქციაა. შეიძლება მიიღოს სახე ცხოველისა, ირმის, ჯიხვის, ძაღლის, კატის.

წარმართული რიტუალები:

ჭიაკოკონობა

შეშა, ფიჩხი, ხმელი ფოთლები, უფრო ხშირად (1990-იანი წლების შემდგომ) - მანქანის გაცვეთილი საბურავები. ქალაქებსა თუ სოფლებში უშველებელ კოცონებს ანთებენ. ისმის ყიჟინა, სიცილ-ხარხარი, რიტუალის მონაწილეები ცეცხლზე გადახტომა-გადმოხტომაში ეჯიბრებიან.

ჭიაკოკონობის რიტუალი წარმართულ რიტუალთა რიცხვს განეკუთვნება. გავრცელებული რწმენის მიხედვით ჭიაკოკონობის ღამეს ის ადგილები, სადაც კოცონია (ცეცხლია) დანთებული, კუდიანებისგან იწმინდება. ცეცხლთაყვანისმცემლობა, იგივე მაზდეანობა, ირანსა და მისი გავლენის სფეროში შემავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც იყო გავრცელებული. მაზდეანებისათვის ცეცხლი ღვთაება გახლდათ, ადამიანი კი, რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ცოდვილი. პიროვნება ღმერთისთვის მისაღები რომ გამხდარიყო, ცეცხლით უნდა განწმენდილიყო. ეს აქტი ცეცხლში გავლით - კოცონზე გადაბიჯებით, გადახტომით - აღესრულებოდა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ახლობლებს ცეცხლში გაატარებენ ხოლმე - რათა ბოროტი სულები ვერ გაეკარნონ.

ახლაც XXI საუკუნეში ეს ძველი რწმენა-ტრადიცია და რიტუალი შემონახულია. ძველი თაობის წარმომადგენლები ამგვარად ფიქრობენ და „ჭიაკოკონასაც“ იმიტომ ანთებენ, რომ ბოროტი ძალებისაგან გათავისუფლდნენ, მაგრამ ახალი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის ჭიაკოკონობის რიტუალი, მხოლოდ კარგ გატარებასთან ასოცირდება და უკვე მოკლებულია მის შინაარსობრივ მნიშვნელობა-დანაშინულებას.

¹⁶ ბარბაქაძე, ცირა. 2017. "წინო აბაკელია - „დაიმონები“ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში". *სემიოტიკა Semiotics*. <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/21/წინო-აბაკელია-„დაიმონებ/>.

რელიგიური რიტუალები:

საქართველოს მოსახლეობის 83% ზე მეტი საკუთარ თავს მიაკუთვნებს მართლმადიდებელ ქრისტიანს. ხოლო თუ ამ 83%-ს ავიღებთ, როგორც საანგარიშო პოპულაციის 100%, მაშინ ვნახავთ, რომ ეთნიკური განაწილებაში 94.6% წარმოადგენს ქართველს,¹⁷ ამიტომ, რელიგიურ რიტუალებზე საუბრისას აქ შევჩერდები მხოლოდ რიტუალებზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოში მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

ქრისტიანობაში არსებული შვიდი საიდუმლო აღესრულება საეკლესიო ლიტურგიული წესით, რაც თავის მხრივ რიტუალს წარმოადგენს. ეს საიდუმლოებებია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, აღსარება, ზეთისცხება, მღვდლობა, ქორწინება.

აქ მსურს შევხებო, ზემოჩამოთვლილი შვიდი საიდუმლოდან, სამს, კერძოდ კი - ნათლისღებას, მირონცხებას და ზეთისცხებას. თითოეულ საეკლესიო საიდუმლოში მონაწილეობის წყალობით მონაწილეები მათი რწმენით, ქრისტესთან ერთიანდებიან.

რიტუალები, რომლებზეც გვექნება საუბარი, საქართველოში, ძველ საღვთისმსახურო პრაქტიკაში, რამოდენიმე დღის განმავლობაში სრულდებოდა, ხოლო თანამედროვე ყოფაში ისინი დაახლოებით ერთი საათის პერიოდს საჭიროებენ. სწორედ ამიტაა გამოწვეული ის, რომ სხვადასხვა კომპონენტები „რომელთა შემადგენლობითაც სრულდებოდა აღნიშნული წესები, ახლა ერთ მთლიანობაში თავმოყრილი. პირველი მათგანია – „ლოცვა დადგომასა ზედა კათაკმეველთასა“ რომელიც ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებას უძღვის წინ. იგი შემდეგნაირად იწყება : „მღვდელმან შემოჰხსნას სარტყელი, რომელსა ენებოს ნათლისღება და დაადგინოს აღმოსავალით კერძო. მხოლოდ პერანგითა ოდენ, თავშიშველი, ფეხშიშველი და უსარტყლო, ხოლო ხელი ჰქონდეს დაბლად ჩაშუებით.“ მოსანათლის ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა გამოხატავს იმას, რომ იგი ადრე, ცოდვის მონა იყო, მონები კი შეუმოსავები და ფეხშიშველნი დადიოდნენ ძირითადად. ამის შემდეგ: „მღვდელმან შეჰბეროს ყრმასა მას სამგზის , და გამოსახოს მას ზედა სახეი ჯუარისა ,პირველად შუბლსა და მკერდსა სამგზის.“ მას მოჰყვება 3-გზის შეფიცება მღვდლის მიერ, თითოეულს წინ უძღვის – „უფლისა მიმართ ვილოცოთ“. რისი დასრულების შემდეგაც , 3-გზის შეჰბერავს მღვდელი მოსანათლის – პირს, შუბლს , მკერდს და მოუწოდებს მასში დაბუდებულ ბოროტ თუ არაწმინდა სულებს, გარეთ გამოსვლას. რის შემდეგაც – „მღვდელმან დაადგინოს დასავალით კერძო ყრმაი იგი ფეხშიშველი და უსარტყლო , ხელაღპყრობით და ჰსთქუას 3 გზის: ვიჯმნი ემმაკისაგან, და ყოველთა საქმეთა მისთაგან , და ყოველთა მსახურთა მისთაგან და ყოველთა ანგელოსთა მისთაგან, და ყოველთა სიბილწეთა მისთაგან.“¹⁸ რაზეც მოსანათლი და მისი ნათლია პასუხობენ – „ვიჯმნი“ (ან – „განვემორები“). დასავლეთისკენ შედგომა და „განშორება“ ნიშნავს, რომ მოსანათლი განუდგება ბოროტ ძალებს, ყველა მათი არაწმინდებით, რომლებიც ბნელში მკვიდრობენ. ამის შემდეგ, კათაკმეველი და მისი ნათლია დებენ პირობას, რომ განაგდებენ სატანას, 3-გზის უარყოფენ მას (ფრაზით – „თფუი ემმაკს“), და ბრუნდებიან აღმოსავლეთით, რაც სიმბოლურად ნიშნავს იმას, რომ ბოროტის

¹⁷ არჩვაძე, იოსებ. 2014. "საქართველოს მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური განაწილების ზოგიერთი ასპექტის შესახებ". <http://politforumi.com/panel/uploads/Ambasadori-Religia/---.pdf>.

¹⁸ გალდავა, მიქაელ და მამია საქანდელიძე. 2009. *გამოკრებილი კურთხევანი*. თბილისი.

საუფლოდან ტრიალდება კათაკმეველი ამომავალი მზის, ე.ი. ქრისტეს მხარეს. კათაკმეველი და მისი ნათლია, პირობას დებენ, რომ ისინი, შეუდგებიან ქრისტეს და დაუმატებენ – „მრწამს იგი, ვითარცა მეუფე და ღმერთი. რასაც მოსდევს, სარწმუნოების სიმბოლოს – მრწამსის წარმოთქმა: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი...“ მთლიანი ტექსტი), რომლის დასრულების შემდეგაც ამბობს რომ იგი, შედგომილია ქრისტეს და დაუმატებს – „თაყვანს ვცემ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამებასა ერთარსებასა და განუყოფელსა“. მისი დასრულების შემდეგაც მღვდელი კითხულობს მცირე ლოცვებს და იწყება, უშუალოდ ნათლისღების საიდუმლო, რომლის დაწყების წინაც სასურველია, სასულიერო პირი თუ შეიმოსება ნათელი ფერის შესამოსელში. იგი უკმევს ემბაზს და ნათლია-ნათლულს მიაწოდებს ანთებულ სანთლებს. საიდუმლო იწყება ასამაღლებლით: „კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ ასამაღლებელს მოჰყვება მშვიდობიანი კვერექსი – „მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ ...“ რასაც მოსდევს წყლის კურთხევის ლოცვა: „ დიდხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი, და ვერვინ შემძლებელარს მადლის მიცემად საკვირულებათა შენთა. (3 გზის), რასაც თან სდევს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აღწერა, ბოლოს კი იკითხება: „შენ უკუე, კაცთმოყვარეო მეუფეო, მოვედ აწცა დანერგვითა წმიდისა სულისა შენისათა, და განწმიდე წყალი ესე. (3გზის)“, რა დროსაც გამოსახავს მღვდელი ჯვარს წყალში და აგრძელებს, „ და მოეც მადლი გამობხნისა და კურთხევა...“ წყლის კურთხევის შემდეგ, აღესრულება ზეთისცხება, რომელიც სინათლის, სიხარულის და ქველმოქმედების წყაროა. აგრეთვე სულიწმინდის სიმბოლოც:¹⁹ მღვდელი მოსანათლს ჯვრის სახით ცხებს ზეთს შუბლზე, მკერდზე, ყურებზე, ხელებზე და ფეხებზე, რა დროსაც, სასულიერო პირი ამბობს ლოცვას: „იცხებს მონა ესე ღუთისა (ანუ მხევალი) ზეთსა სიხარულისასა, სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“

ნათლისღების სახეობზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ გამოიყენება შთაფვლით და მკურებით ნათლობა, ორივე სახის კანონიკურობის შესახებ დასტური მოცემულია ძეგლში – „დიდაქე“²⁰: 1. ნათლისღებისათვის ასე მონათლეთ: როცა წარმოთქვამთ ყველაფერს ამას, სახელითა მამისა, ძისა და სული წმინდისა მდინარი წყლით ნათელი ეცით;

თუ არა გაქვს მდინარი წყალი, მონათლე სხვა წყლით. თუკი ვერ ძალგიძს, რომ ცივში იყოს, თბილში მონათლე;

თუ არცერთი გაქვს, არც მეორე, სამგზის დაასხი წყალი სახელითა მამისა, ძისა და სულიწმინდისა

ნათლისღებამდე უნდა იმარხულონ ნათლისმცემელმაც და ნათლულმაც, ასევე სხვებმაც, თუკი ძალუძთ. ნათლულს უბრძანე, იმარხულოს ერთი-ორი დღე“.

მირონცხების საიდუმლო

¹⁹ შემანი, ალექსანდრე. 2016. „ნათლობის საიდუმლო“. *წმ.სტეფანე აღმსარებლის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლი "კენოზისი"*. <http://kenozisi.ge/geo/2947-2/#footnote-23>.

²⁰ „დიდაქე“ - მოძღვრება თორმეტი მოციქულისა (მოძღვრება უფლისა თორმეტი მოციქულის მიერ წარმართთა მიმართ)". 2015. *Library.Church.Ge*. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=67&Itemid=1&lang=en.

მრონცხების საიდუმლოს ბიბლიური საფუძველი მოცემულია მოციქულთა საქმეების ორ ტექსტში, სადაც სული წმიდის ნიჭი ცხადად უკავშირდება მოციქულთა მიერ ხელის დასხმას, რაც ნათლობის შემდეგ ხდება (საქმ. 8:5-25 და 19:1-6). მრონცხება სული წმიდის ნიჭის საიდუმლოა და ქრისტიანული ინიციაციის საბოლოო ნიშანს წარმოადგენს. ამიტომაც ის მიჩნეულია ქრისტიანის სიმწიფის საიდუმლოდ, ვისაც ამგვარად ეკლესია ანიჭებს უნარს, საჯაროდ იღვაწოს სამყაროში თავისი სარწმუნოებისათვის. კათოლიკე ეკლესიაში მრონცხების აღმსრულებელი მღვდელმსახურია ეპისკოპოსი, თუმცა მისი აღსრულება ამგვარი უფლების მქონე სხვა სამღვდლო პირსაც შეუძლია. მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ ფუნქციას ასრულებს მღვდელმსახური, რომელიც მრონცხებას ნათლობასთან ერთად აღასრულებს. საიდუმლო აღსრულება შუბლზე მრონის (წმიდა ზეთი და ბალზამი) ცხებით და ეპისკოპოსის მიერ ხელთა დასხმით, შემდეგი ფორმულის თანხლებით: „მიიღე ბეჭედი სული წმიდისა, რომელიც მოგენიჭა შენ“; ნათლია მარჯვენა ხელს ადებს მხარზე მრონის მიმღებს და იღებს ვალდებულებას, დაეხმაროს და წარუძღვეს მას ქრისტიანულ ცხოვრებაში²¹

II-III ს-დან, ახალნათელღებულებს თეთრი სამოსით მოსავდნენ. რასაც მოჰყვებოდა მრონცხების საიდუმლო . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლურად, ნათლისღება არის აღდგომის სახე, ხოლო მრონცხება კი სულთმოფენობის. მრონცხებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ , საიდუმლოს დოგმატური გააზრება და გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, სულიწმინდის ნიჭები, სულიწმინდის იმ ბეჭდისგან, რომელიც მრონცხებისას ენიჭება პიროვნებას. რადგან პირველი მათგანი (ნიჭები), სამებისათვის საერთო მადლს გულისხმობს, ხოლო მეორე მათგანი (ბეჭედი), წმ.სამების მესამე პირს – სულიწმინდას განეკუთვნება. მრონცხება, სულთმოფენობის სიმბოლური სახეა . სულთმოფენობის დროს, კი როგორც ეპისკოპოსი ნიკოლოზ მეთონელი ამბობს – „არა მამა და ძე , არამედ თავად სულიწმინდა ღმერთი ჩანდა განყოფილი ცეცხლოვანი ენების სახით.“²²

მრონცხების შემდეგ იგალობება : „რაოდენთა ქრისტეს მიერ, ნათელ გვიღებებს და ქრისტე შეგვიმოსიეს, ალილუია...“ თუ მრონცხების რიტუალს ისტორიულ ჭრილში შევხედავთ, ვნახავთ, რომ ნათელღებულებს მრონი ეცხოთ რვა დღის მანძილზე. რასაც სიმბოლურად, რამდენიმე სახის განმარტება შეიძლება მოვუნახოთ, საეკლესიო წიაღში. საიდანაც ერთ-ერთია ის, რომ შვიდი დღე, განასახიერებს ამქვეყნიურ ყოფას, ხოლო მერვე დღე კი, ახალი ქვეყნიერებისას . ქრისტიანები არა მიწიერი , არამედ ზეციური მოქალაქეები არიან და ახალ ქვეყნიერებას მიეკუთვნებიან. ამ ყოველივეს დასასრულს, მღვდელი, თმებს მოჰკვეცს მოსანათლს ჯვრის სახით და იტყვის:„ მოიკუეცს მონა (ანუ მხევალი) ღუთისა, სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.“ ეს ქმედება , სიმბოლურად გამოხატავს , მონათლულის ცოდვილი ნების მოკვეთას და ღმრთის ნების მიღებას. ამის შემდეგ, თუკი მონათლული ბიჭია, სასულიერო პირი შეიყვანს მას საკურთხეველში, ხოლო თუკი გოგოა, მიიყვანს ამბიონთან და ამთხვევინებს ხატებს. ამ დროს ითქმის შემდეგი ლოცვა – „ეკლესიად მოვალს მონა ღუთისა (ანუ მხევალი) ..., სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა ამინ.“

²¹ "მრონცხება - ქრისტიანობის ლექსიკონი". 2017. *Nplg.Gov.Ge*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=2169>.

²² ლურსმანაშვილი, გურამ. 2014. "16 | August | 2014 | Seminarieli- G.L.". *Seminarieli.Wordpress.Com*. <https://seminarieli.wordpress.com/2014/08/16/>.

ზეთისცხება

ძველად სურნელოვან ნივთიერებებში შერეული ზეთით ცხება საერო ცხოვრებასა და კულტში გამოიყენებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხების მეშვეობით ღმრთის სიწმიდესთან ზიარება ხდებოდა. ძველ აღთქმაში მოყვანილია საკურთხეველთა, ტაბერნაკულუმთა, თუმცა უმთავრესად მეფეთა (1 მეფ. 9:16), უმაღლეს მღვდელმსახურთა (გამ. 29:7) და წინასწარმეტყველთა ცხების მაგალითები მათი კურთხევის მიზნით. ცხების მეშვეობით კურთხეულის უმაღლესი მაგალითია ნანატრი ხსნის მომტანი მესია, რაც სწორედ „ცხებულს“ ნიშნავს. იესოს დროს, ვინც ბეთანიაში ლაზარეს დის, მარიამის სიკვდილზე ცოტახნით ადრე იქნა ცხებული (იოან. 12:1-11), ცხება სწავლებათა განსაკურნებლად გამოიყენებოდა (ლუკ. 10:34). ასეთად მიიჩნევა სწავლათა ზეთის ცხების საიდუმლო, თუმცა ცხება, როგორც კურთხევის ნიშანი ნათლისღების, მირონცხების და ხელდასხმის საიდუმლოებსა და საკრამენტალიებშიც გვხვდება.²³

ზეთისცხება მორწმუნე, მაზიარებელ და აღმსარებელ ადამიანზე აღესრულება, რომელიც რაიმე სწავლებით არის დაავადებული, სულიერი თუ ფიზიკური, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

შვიდგზის ზეთისცხება შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთია, რომელიც დიდ მარხვაში ტარდება. მართლმადიდებლური ტაძრები დიდმარხვის ბოლო კვირებში ყოველ საღამოს ატარებენ ზეთისცხებას. მართლმადიდებელ ქრისტიანს შვიდჯერ ეცხება წითელ ღვინოში არეული ზეთი მღვდლების მიერ. ამ დროს მრავალგზის იკითხება სახარება და ლოცვები სწავლათათვის. ეს ყველაფერი ქრისტიანის სულისა და ხორცის განკურნებისთვის სრულდება. ზეთის კურთხევა უკავშირდება სინანულის საიდუმლოს. მნიშვნელოვანია, რომ შვიდგზის ზეთის ცხება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ერთხელ მაინც აქვს აღსარება ჩაბარებული.

ამ დროს იკითხება შვიდი სახარება სხვა ლოცვებთან ერთად. ზეთის კურთხევა ტაძარში მაშინ ტარდება, როცა მეტი თავისუფალი დროა, რადგან ხალხი არ დარჩეს ზეთის ცხების გარეშე. ლოცვების მოსმენის შემდეგ უკვე იწყება შვიდგზის ზეთისცხება.

ზეთი იცხება შუბლზე, ნიკაპზე, თვალებზე, ყურებზე, ხელებზე, ლოყებსა და ყელზე.

ეზოთერული, მაგიური, სპირიტუალური და ოკულტური რიტუალები:

ეზოთერულ, მაგიურ, სპირიტუალურ და ოკულტურ რიტუალებს არ უკავიათ საქართველოს როგორც წარსულში ასე აწმყოში, ეროვნული ცნობიერების მაფორმირებელი მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მრავალი რიტუალი არსებობდა და არსებობს დღესაც, რომლებიც უკავშირდება იღბალს, ბედს, მოსავალს, ბარაქას, ჯანმრთელობას, სიყვარულს. ნაშრომში, მხოლოდ მაგალითის სახით შევჩერდები რამოდენიმეზე.

მაგიური წრე

მკვლევარებს შემლოცველი ექიმბაშებისგან ან/და მაგებისგან ინფორმაციის მიღება ყოველთვის უჭირთ. რიტუალის განმახორციელებელი პირები ხშირად არ თანხმდებიან

²³ "ზეთის ცხება - ქრისტიანობის ლექსიკონი". 2011. Nplg.Gov.Ge. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1434>.

რიტუალისას გამოყენებულ მოქმედებათა მნიშვნელობის, თანმიმდევრობის და იმ შელოცვათა ტექსტების განდობა, რომელსაც იყენებენ. საქართველოში, გამოსავალი, რომელსაც რიტუალების განმახორციელებელმა პირებმა მიმართეს ეწოდება - მაგიური წრე. მაგი ხის ჩხირით ხაზავს წრეს საკუთარი თავის ირგვლივ და ჯდება დაბალ სკამზე. შემდეგ თავისთვის ჩუმად წარმოთქვამს სიტყვებს და მხოლოდ ამის შემდე იწყებს შელოცვის ტექსტის წარმოთქმას. წრის შიგნით ყოფნის საიდუმლო ვლინდება იმაში, რომ წრის იქით სიტყვის ძალა არ გადმოდის და მხოლოდ წრის შიგნით აქვს მათ შესაბამისი ძალა და მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც წრის გარეთ არიან, მხოლოდ ცარიელ (ძალის გარეშე არსებული სიტყვები) შეუძლიათ გაიგონ.

წრის შემოხაზვა ასევე გამოიყენება ავადმყოფის მკურნალობის დროსაც მაგიურ რიტუალში, სადაც ეშლოცვის წინ ავადმყოფს გარშემო შემოუვლიან, ჩხირით ან რაიმე სხვა საგნით შემოხაზავენ წრეს. ასევეა სხეულის კონკრეტული ორგანოების, ან/და თუნდაც კანის მკურნალობისას. მაშინ წრის შემოხაზვა ხორციელდება უშუალოდ კანზე ადგილის შემოხაზვით, რომ დაავადება არ გავრცელდეს სხეულის სხვა ნაწილებზე.

საქართველოში, ხალხში, ფართოდ გავრცელებულია მიმართვა - შენ შემოგველე - არსებობს ვარაუდი, რომ ეს გამოთქმა მოდის ამ ზემოხსენებული შემოვლების წესიდან.

4 სტიქიის შეერთების რიტუალი

ეს რიტუალი ტარდება ენერგეტიკულ დონეზე და მოითხოვს სპეციალური ნივთების მინიმალურ რაოდენობას. ჯადოქრის-მაგის სხვადასხვა მხარეს, 4 მხარეს იდება წყალი, სანთელი, სურნელოვანი ჩხირი და მიწა. ჯადოქარი ზის შუაში და დასაწყისში მადლიერებას აღავლენს სტიქიების მიმართ, საკუთარი სიტყვებით, ხოლო შემდეგ აკეთებს სტიქიების ე.წ. ბეჭდებს, რომლებიც ხორციელდება ხელის თითების შესაბამისი წყობით და გავს მუდრებს. იმისთვის, რომ მატერიალურ სამყაროში განამტკიცოს სტიქიების ენერგია. პარალელურად მეორდება ეს ბეჭდები ხელის მძღაობებით და სკანირდება იმ პირის პირველი ჩაკრა, რომელსაც უტარდება ეს რიტუალი. ჩაკრის სკანირების მიზანია, მოძიებულ იქნას პირველად ინსტინქტ-ენერგია (თვითგადარჩენის) და გაძლიერდეს. ჯადოქარი-მაგი ენერგიულ ბურთებს უკითხავს კირლიანის ლოცვას, ხოლო შემდეგ აბრუნებს მათ, აბრუნებს ძლიერად. ასე ხდება თითოეულ ჩაკრასთან მიმართებით, თითოეული ენერგეტიკული ბურთი იმუხტება უპირობო სიხვედრულით და შემდეგ უბრუნდება პირველსაწყისს, წყალს და მიწას, ანთებულ ჩხირს ჯადოქარი არჭობს მიწაში, ხოლო სანთელი იწვის. ჯადოქარი ამბობს, რომ სანამ სანთელი ჩაიწვება ეს რიტუალი განმტკიცდეს და შესრულდეს.

სექსუალურობის გამაძლიერებელი რიტუალი

იგი აძლიერებს ორგაზმს, ზრდის სექსუალურობას და სექსისგან სიამოვნებას მიღების შესაძლებლობას.

რიტუალის შედეგად მზადდება ბალზამი, შემდეგი წესით:

საჭიროა ლითონის ჭურჭელი. მასში თავსდება წითელი ვარდის რამოდენიმე ფურცელი, 50 გრამი ზეითუნის ზეთი, 3 წვეთი ჟასმინის ზეთი, Sandalwood-ის ხის ზეთი.

მიღებული მასა უნდა მიიტანო ტუჩებთან და წარმოთქვა შემდეგი შელოცვა:

Nou vi metres Ezili Freda Dawonmen...
Neges nan nou Lade,
Neges Rada Freda Dawonmen,
Neges Fredasi Freda
Neges Flavodoun Freda,
Neges Sousafle Vodoun,
Neges Tabo Man-yan Voude
Neges Sibrakan
An nou Miyán Man-yan
Manbo Ezili Freda Danwonmen
Ounsi Ladogwesán.
-Okan.

შელოცვის წარმოთქმის შემდეგ ჩაუშვა ნერწყვი მიღებულ მასაში დაახლოებით თავსახური მთელი ღამის განმავლობაში დადგა ფანჯრის რაფაზე. ბალზამის გამოყენება შესაძლებელია მეორე დღიდანვე, არსებული რწმენით, ეფექტი პირველივე სქესობრივი აქტისას იგრძნობა. ამ ბალზამის გამოყენება შეიძლება დამზადებიდან ერთი თვის განმავლობაში. ბალზამი უნდა წაისვა მკერდზე, საშოზე/პენისზე და უკანაზე. ბალზამის რეგულარული გამოყენება მიზანშეწონილი არაა.

ეზორციზმი

მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში ეშმაკით შეპყრობილთა სიმპტომები მკვეთრად გამოცალკევებული არ არის, შესაბამისად, მრავალი ფსიქიკურად დაავადებული შეპყრობილად ითვლება (შესაბამის წრეებში) და ეზორციზმის რიტუალი უტარდება. კათოლიკურისგან განსხვავებით, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეზორციზმი ძირითადად ტაძარში ტარდება და არა სახლის პირობებში. ეზორციზმი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი. დასაწყისში ეზორციზტი იყენებს ჯვარცმას და ადებს შეპყრობილს სხეულზე, რასაც თან ახლავს ლოცვები. საბოლოოდ მღვდელი ლოცავს ხალხს და აკურებს ნაკურთხ წყალს. „მოწაფეებს უბრძანა, განედევნათ ბოროტი სულები ადამიანებისგან“ (როგორც ეს მოცემულია მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში).

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეზორციზმის ანალოგიას ე.წ. „კვეთებულის“ ლოცვა წარმოადგენს. ზემოხსენებული კი 2 სახის არსებობს :

1. „საზეიმო ეზორციზმი“ – აღნიშნული რიტუალის ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ მღვდლებს, რომელსაც ამ საქმის შესასრულებლად უფლებას აძლევს ადგილობრივი ეკლესიის წინამძღვარი. თვითნებურად მღვდლებს ეზორციზმის ჩატარების გადაწყვეტილების მიღება ეკრძალებათ. იმისთვის, რომ ეზორციზმის ჩატარების უფლება გაიცეს, აუცილებელია, ეკლესია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საქმე ეხება „რეალურად ეშმაკით შეპყრობას“.

2. „მარტივი ეზორციზმი“ – აღნიშნულ შემთხვევაშიც რიტუალს ატარებს მღვდელი ან დიაკვანი, თუმცა ამ შემთხვევაში სპეციალური უფლება საჭიროებას არ წარმოადგენს და შესაბამისად, შედარებით მარტივ შემთხვევებში გამოიყენება. არსებობს შემთხვევები, როდესაც „ადამიანი არა ერთი, არამედ რამდენიმე დემონითაა შეპყრობილი“.

მართლმდადიდებლური წესის თანახმად, ასეთ დროს ეგზორცისტისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია, პროცესის განმავლობაში „მას თავად ჩაუსახლდეს დემონი“ (თავად აღმოჩნდეს მსხვერპლის როლში), ამიტომ აუცილებელია, რომ ადამიანი, რომელიც ატარებს აღნიშნულ რიტუალს, რაც შეიძლება წმინდა (ნაკლებად ცოდვილი) და თავის რწმენაში დარწმუნებული იყოს.

თავად ეგზორციზმის რიტუალიც რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

ყოფნა (დასწრება): ეგზორცისტის და მის დამხმარეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ისინი პირისპირ რჩებიან მათთვის უცნობ არსებასთან. ყველა ღონისძიება, რომელსაც აღნიშნული არსება იღებს მათ წინააღმდეგ, მსხვერპლის უშუალო ქმედებებში გამოიხატება. ეგზორცისტის პირველ და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, დააზუსტოს ვისთან აქვს საქმე და რაც მთავარია, გაიგოს მისი სახელი (როგორც წესი ეს ყველაზე რთული საფეხურია).

გატეხვა: ეს არის მომენტი, როდესაც „დემონს ნიღაბს ხსნიან“, ხდება მისი „გამოტეხვა/გამოაშკარავება“. ამ დროს იწყება პანიკა, დაბნეულობა, რომელიც გამოიხატება ყვრილში, თვითდაშავებაში, ხავილში და ა.შ. შემდეგ ის იწყებს უშუალოდ მსხვერპლთან საუბარს და თავს არიდებს ეგზორცისტთან კონტაქტს.

ხმა: ეს წინა პუქტის ერთ-ერთი თანმდევი ნაწილია, როდესაც დემონი გამოსცემს ენით აუწერელ ხმას, ადამიანისთვის ყოვლად აუტანელს, ამიტომ ვიდრე დემონი არ გაჩუმდება, იქამდე რიტუალი არ გრძელდება (შეუძლებელია გაგრძელება).

შეჯახება: ეს არის მომენტი, როდესაც დემონი ჩუმდება, რაც ფაქტიურად ნიშნავს, რომ ზეციურმა „დადებითმა“ ძალამ გაიმარჯვა. ამ მომენტში ეგზორცისტი ერთი-ერთზე რჩება დემონთან ბრძოლაში და ცდილობს, მასზე, რაც შეიძლება დიდი ინფორმაცია მოიპოვოს იმისთვის, შესაძლებელი გახდეს დემონის კონტროლი. დემონსა და მსხვერპლს შორის საკმაოდ მყარი კავშირი არსებობს, ვინაიდან დემონს სჭირდება ადგილი, სადაც ის იარსებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჯოჯოხეთში დაბრუნება მოუწევს. (თავისი არსით, დემონი ჯოჯოხეთის გარეთ არსებობისთვის იბრძვის.)

განდევნა/გამევეება: ეს არის ღვთის ნების გამარჯვება, ტრიუმფი. ეშმაკი/დემონი ტოვებს სხეულს იესოს სახელით.

აღსანიშნავია, რომ მსხვერპლს შეიძლება, ბუნდოვნად, ან საერთოდ არ ახსოვდეს მომხდარი.

როგორც ცნობილია, აღნიშნული რიტუალი ყველა შემთხვევაში წარმატებით არ სრულდება. არსებობს მსხვერპლის გარდაცვალების რისკი, ან შესაძლოა, საერთოდ ვერ მოხერხდეს ეშმაკის განდევნა და რიტუალის ჩატარება განმეორებით გახდეს საჭირო. არსებობს შემთხვევები, როდესაც ეგზორციზმი ერთ ადამიანს რამდენჯერმე უტარდება.²⁴

ლახვის ლოცვა

²⁴ "ეგზორციზმი – მისი შესრულების რიტუალი და წესები მსოფლიო კულტურებსა და რელიგიებში". 2017. *Region Info*. <http://regioninfo.ge/interviu/237--.html>.

კვეთებულის ლოცვის დროს სხეულიდან ხდება ეშმაკის/დემონის განდევნა, რომელსაც შეპყრობილი ჰყავს ადამიანი. მისი მკურნალობა ამ ლოცვით ხდება. ლახვრის ლოცვა მიმართულია უშუალოდ მწვავე ტკივილის აღმოსაფხვრელად. ორივე ლოცვა საკმაოდ ძლიერია და ავადმყოფი, „ღვთის შემწეობით“, ეფექტურად ინკურნება. ლახვრის დროს ადამიანს ეწყება რეაქცია, უმწვავდება ტკივილი. ყოფილა შემთხვევები, რომ ამის გამო ბევრს დაუტოვებია ეკლესია და წასულა. ტკივილი ძლიერდება ძალიან მცირე დროით, შემდეგ ხდება მთლიანი განკურნება. ამიტომაც, ამ მიზეზით წასული ხალხი ხშირად უკან ბრუნდება.

ლახვრის ლოცვის შესახებ ცნობები შუა საუკუნეებიდან იწყება. მას ასრულებდნენ ღირსი მამები, მოძღვრები. სავარაუდოდ, მათი შედგენილია ლოცვების კრებული, რომელიც ითვლება, რომ ძალიან ეფექტურია ტკივილით დაუძღვრებული ადამიანების მიმართ. ლახვრის ლოცვის შესრულებისას იკითხება სამი ლოცვა. პირველ ლოცვაში მოიხსენება უფლის ჯვარცმა. მეორე ლოცვისას, „მომიკიდე ჩვენ რწყევითა მისგან რჯულისა“, მიმართვაა უფლისადმი, რომ ჯვარცმით გამოისყიდოს ავადმყოფი წყევლისაგან. მესამე ლოცვა ეხება „ლახვრით განგმირვას“. იკურთხება ღვინო და წყლის ნაზავი სისხლად, პური ხორცად. სამივე ლოცვის შუალედებში სამჯერ გამოისახება ჯვარი მტკივნეულ ადგილას, ხდება ჯვრით შეხება.

ლახვრის ლოცვა დიდი დატვირთვის მატარებელია. ლოცვის წაკითხვას ახორციელებს ბერი. ლახვრის ლოცვა შეიძლება აღევლინოს უფლის ხატთან, ღვთისმშობლის ხატთან, ასევე რომელიმე წმინდანის ხატთან. ლოცვა აღევლინება ინდივიდუალურად, ერთ ადამიანზე ან რამოდენიმეზე ერთად, ჯგუფურად. დასასრულს ხდება ზიარება ნაკურთხი პურით და ღვინით.

შემზადება ლახვრის ლოცვისათვის იმისათვის, რომ ადამიანი დაესწროს სხვა მოძღვრის მიერ ჩატარებულ ლახვრის ლოცვას, აუცილებლად უნდა აიღოს ზიარება პირადი მოძღვრისაგან. მისი (პირადი მოძღვრის) გვერდის ავლით ლოცვაზე დასწრება დაუშვებელია. თუ ადამიანს არ ყავს მოძღვარი, მან ნებისმიერ მოძღვარს უნდა ჩააბაროს აღსარება და მიიღოს ზიარება.

დასკვნა:

ფარულის, უცნობის მიმართ ადამიანის ინტერესი არ არის შემოფარგლული დროის, ტერიტორიის, კულტურისა თუ სხვა ცნება-მოცემულობებით. ეს ინტერესი ადამიანს ჰქონდა, აქვს და ექნება. შემეცნების პროცესი რთული ფსიქიკური პროცესია, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ვარაუდების გაჩენა-არსებობას, შემდეგ კი ამ ვარაუდების-ვერსიების ფილტრაციას, რომლის შემდეგაც უკვე აუცილებელია გამარჯვებულმა ვარაუდმა-ვერსიამ მტკიცებულებებით, ექსპერიმენტებითა და ამ ექსპერიმენტებიდან მიღებული შედეგებით განახორციელოს ვერიფიკაცია - დაადასტუროს ან-და უარყოს ვერსია-ვარაუდი.

შეუცნობელთან, შეცნობის პროცესის დასაწყისში კი, ხშირად ერთი შეხედვით ზებუნებრივთან თუნდაც წარმოსახვითი კავშირი, მიუხედავად ამ კავშირის ფორმისა,

წარმოშობს განცდას იმისა, რომ ეს კავშირი აღჭურავს ამ ურთიერთობის მონაწილეს მეტაშესაძლებლობებითა და ძალებით. რწმენა-დაჯერების და მასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური განწყობის სიმტკიცე-სიმღიერეზეა დამოკიდებული ის ეფექტიც, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს. ზუსტად ამ განწყობის შექმნა-განმტკიცებისკენ იყო და არის მიმართული ესა თუ ის რიტუალი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ადამიანი. რიტუალები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობს ამა თუ იმ თემის უმრავლესობა, განაპირობებს ამ თემის ე.წ. კოლექტიურ არაცნობიერს. ხოლო რიტუალები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, განაპირობებს ე.წ. ეროვნული კოლექტიური არაცნობიერის ფორმირებას.

განსახილველ შემთხვევაში, დღევანდელ საქართველოსთან მიმართებაში, ასეთ რიტუალებად გვევლინება ე.წ. რელიგიური, ლიტურგიული ხასიათის რიტუალები და რიტუალები, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ კონკრეტული დღის (რომელსაც აქვს შესაბამისი შინაარსი) აღნიშვნასთან, საიდანაც ცალსახად, საგანგებოდ უნდა იქნას აღნიშნული ახალი წლისა და ე.წ. ბედობის (ერთი დღის განვრცობის - მომდევნო წელზე) შეხვედრისა და გატარების რიტუალები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „დიდაქე“ - მოძღვრება თორმეტი მოციქულისა (მოძღვრება უფლისა თორმეტი მოციქულის მიერ წარმართთა მიმართ)". 2015. *Library.Church.Ge*.
http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=67&Itemid=1&lang=en.
2. "† Orthodoxy.Ge † სხვადასხვა - შობა და ახალი წელი". 2017. *Orthodoxy.Ge*.
http://www.orthodoxy.ge/skhva/shoba_da_akhali_tseli.htm.
3. Gurchiani, Ketevan. 2007. "Polyphem Und Devi. Geschichten Der Kannibalischer Riesen In Altgriechischer Und Georgischer Tradition". *Athény: Ergo Editions.*
4. აბაკელია, ნინო. 2002. *რამდენიმე შტრიხი დროისა და სივრცის კატეგორიების შესახებ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში, კრ. ოჩხარი, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი*. 1st ed. თბილისი.
5. არჩვაძე, იოსებ. 2014. "საქართველოს მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური განაწილების ზოგიერთი ასპექტის შესახებ".
<http://politforumi.com/panel/uploads/Ambasadori-Religia/---.pdf>.
6. ბარბაქაძე, ცირა. 2017. "ნინო აბაკელია – „დაიმონები“ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში". *სემიოტიკა Semiotics*.
<https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/21/ნინო-აბაკელია-„დაიმონები/>.

7. ბრეგაძე, მერაბ. 2017. "საახალწლო ტრადიციები საქართველოში". *Saunje.Ge*. Accessed January 5. <http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=en>.
8. გალდავა, მიქაელ and მამია საქანდელიძე. 2009. *გამოკრებილი კურთხევანი*. 1st ed. თბილისი.
9. "ეგზორციზმი – მისი შესრულების რიტუალი და წესები მსოფლიო კულტურებსა და რელიგიებში". 2017. *Region Info*. <http://regioninfo.ge/interviu/237--.html>.
10. "ზეთის ცხება - ქრისტიანობის ლექსიკონი". 2011. *Nplg.Gov.Ge*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1434>.
11. ლურსმანაშვილი, გურამ. 2014. "16 | August | 2014 | Seminarieli- G.L.". *Seminarieli. Wordpress.Com*. <https://seminarieli.wordpress.com/2014/08/16/>.
12. "მეკვლე (მემკვლე) - ჯავახური ლექსიკონი". 2017. *Nplg.Gov.Ge*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=12061>.
13. "მირონცხება - ქრისტიანობის ლექსიკონი". 2017. *Nplg.Gov.Ge*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=2169>.
14. "სახლიდან დაბინძურებული ენერგეტიკის მოშორება". 2017. *კუდიანის ბლოგი*. <https://vichoraot.wordpress.com/2016/08/20/სახლიდან-დაბინძურებული-ე/>.
15. შემენი, ალექსანდრე. 2016. "„ნათლობის საიდუმლო“". *წმ.სტეფანე აღმსარებლის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლი "კენოზისი"*. <http://kenozisi.ge/geo/2947-2/#footnote-23>.